

„სოფლის რწმუნებულები“ საჯარო მოხელეები აღარ იქნებიან



საქართველოს პარლამენტი განიხილავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად ითვალისწინებს ე.წ. სოფლის რწმუნებულებისთვის საჯარო მოხელის სტატუსის გაუქმებას და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე გადაყვანას, რაც მათი სრულად პოლიტიზაციის და წინასაარჩევნოდ ვინრო პარტიული მიზნებისთვის გამოყენების რისკებს ზრდის.

კანონპროექტი, ინიციატორი

საკანონმდებლო ინიციატივა: „საჯარო სამსახურის შესახებ“ და თანმდევ კანონში ცვლილებების პროექტი.

ინიციატორები და ავტორები: გიორგი კახიანი, გურამ მაჭარაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, შალვა კიკნაველიძე

კანონპროექტის ანის

კანონპროექტით შემოთავაზებულია საჯარო სამსახურთან დაკავშირებული რამდენიმე ცვლილება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისთვის (სოფლის რწმუნებული) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმების ვალდებულების და პროფესიული საჯარო მოხელის კარიერული განვითარების ახალი პროცედურის - შიდა კონკურსის შემოღება.

1. მერის წარმომადგენლის (ე.წ. სოფლის რწმუნებული/გაგებებელი) სტატუსი

მოქმედი ჩარეობა	შემოთავაზებული ცვლილება
კანონის მიხედვით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები პროფესიული საჯარო მოხელეები არიან.	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი მხოლოდ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით იქნება დასაქმებული.

2. მოხელის კარიერული განვითარება - შიდა კონკურსი

მოქმედი ჩარეობა	შემოთავაზებული ცვლილება
მოხელის კარიერული განვითარება ხორციელდება დახურული კონკურსის საფუძველზე.	მოხელის კარიერული განვითარება ხორციელდება შიდა ან დახურული კონკურსის საფუძველზე.

3. შიდა კონკურსის ჩატარების წესი

მოქმედი ჩარეობა	შემოთავაზებული ცვლილება
შიდა კონკურსი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.	შიდა კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

შეჯამება / რეკომენდაციები

მერის წარმომადგენლის (ე.წ. სოფლის რწმუნებული) სტატუსი

პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი, რომლითაც სხვა ცვლილებებთან ერთად იგეგმება ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისთვის (ე.წ. სოფლის რწმუნებული/გამგებელი) საჯარო მოხელის სტატუსის შეწყვეტა და მათი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე გადაყვანა.

მერის წარმომადგენელი, ხშირ შემთხვევაში, სოფელში ერთადერთ საჯარო მოხელეს წარმოადგენს, ამ ცვლილებით, კი იქმნება საფრთხე, რომ მოხდეს მათი სრულად პოლიტიზაცია და წინასაარჩევნოდ ვინრო პარტიული მიზნებისთვის გამოყენება.

მერის წარმომადგენლებისთვის სტატუსის შეცვლის მცდელობას 2017 წელსაც ქონდა ადგილი, ამ პროცესს მაშინ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გამოეხმაურა და გარდა პროცესის უკანონობისა, ასევე ამ თანამდებობის პოლიტიზირების გაზრდილ რისკებს გაუსვა ხაზი. ორი წლის წინ ეს პროცესი შეჩერდა და მერის/გამგებლის წარმომადგენლებს ისევ დაუბრუნდა საჯარო მოხელის სტატუსი.

ამჯერად ცვლილება პირდაპირ კანონში იგეგმება და მისი მიღების შემთხვევაში მუნიციპალიტეტებს სხვა არჩევანი არ ექნებათ გარდა იმისა, რომ მერის წარმომადგენლებს პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი შეუცვალონ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულით, რაც ნიშნავს:

პროფესიული საჯარო მოხელე	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული
სამსახურში მიიღება კონკურსის წესით	ერთპიროვნულად ნიშნავს მერი
სამსახურში მიიღება უვადოდ	სამსახურში მიიღება მერის უფლებამოსილების ვადით
გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში	მერს მისი გათავისუფლება ნებისმიერ დროს შეუძლია

დანიშნის პროცედურებიდან ცხადია, რომ ეს თანამდებობა მთლიანად დამოკიდებული ხდება მერზე, რომელიც პოლიტიკური თანამდებობის პირია. მერის წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები მოიცავს ისეთ ფუნქციებს, რომელთა აუცილებლობაც სოფელში მუდმივად დგას და არ არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების ცვლილებაზე.

შესაბამისად, გაუგებარია, მუდმივი და დამოუკიდებელი ფუნქციების მქონე პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის მერის ერთგვარ ასისტენტად გადაქცევა, რაც განსაკუთრებით პრობლემური შეიძლება გახდეს, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში ამ თანამდებობის პირების რაოდენობასა (მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 53 ასეთი თანამდებობის პირია, რასაც ემატება მათი 35 ასისტენტი) და წინასაარჩევნო აგიტაციაში მათი ჩართვის არსებულ მანკიერ პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ მერის წარმომადგენლებს, თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე მეტი ინფორმაცია აქვთ სოფლის მოსახლეობაში არსებული სოციალური მდგომარეობის და პოლიტიკური განწყობების შესახებ, ხოლო სოფლის მოსახლეობისთვის ხშირად სახელმწიფოს ერთადერთი წარმომადგენლები არიან, რომელთანაც ადგილობრივი პრობლემების შესახებ კომუნიკაციის შესაძლებლობა აქვს. ამ გარემოებების ფონზე თანამდებობის მზარდი პოლიტიზაცია ქმნის მაღალ ალბათობას, რომ ის წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური მიზნებისთვის კიდევ უფრო აქტიურად იქნება გამოყენებული და საარჩევნო გარემოს მნიშვნელოვნად დააზიანებს. გარდა ამისა ცვლილება არ შეესაბამება დეცენტრალიზაციისა და მუნიციპალიტეტებში პროფესიული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების პოლიტიკას.

შიდა კონკურსი

კანონპროექტით შემოთავაზებულია პროფესიული საჯარო მოხელის კარიერული განვითარების ახალი გზა - შიდა კონკურსი. თუ აქამდე მოხელის დანიშნულება მხოლოდ დახურული კონკურსით ხდებოდა, კანონის მიღების შემთხვევაში, გაჩნდება მეორე გზაც, რაც გულისხმობს მხოლოდ დანესებულების შიგნით კონკურსის ჩატარებას.

ახალი რეგულაციის მთავარი პრობლემა არის ის დათქმა, რომ შიდა კონკურსის წესი კანონით არ განისაზღვრება და იგი კანონქვემდებარე აქტში - მთავრობის დადგენილებაში გაინერგება. კანონში შიდა კონკურსის ჩატარების ზოგადი პრინციპებიც არ არის განსაზღვრული, რაც მთავრობას სრულ თავისუფლებას აძლევს განსაზღვროს მისი შინაარსი და არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანოს მასში ნებისმიერ დროს პარლამენტისგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა შიდა კონკურსის ძირითადი რეგულაციების კანონპროექტში არ არსებობს ამ ეტაპისთვის ტოვებს პასუხგაუცემელ კითხვებს, მაგალითად: რა კრიტერიუმებით უნდა გააკეთოს არჩევანი დანესებულებამ შიდა და დახურული კონკურსის შორის? შიდა კონკურსის უმდევნო სტატუსის შემთხვევაში შეიძლება ეტაპი დახურული კონკურსის ჩატარებაა თუ მაშინვე უნდა გაციხნას კონკურსი? და ა.შ.

რეკომენდაცია

- მერის წარმომადგენლების პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად შეუნარჩუნდეს მათ პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი, რაც ასევე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნების და სახელმწიფო სერვისების პოლიტიკურად ნეიტრალურ გარემოში მიწოდების უზრუნველსაყოფად.
- პროცესის გამჭვირვალობისთვის და საჯარო სამსახურის სისტემის სტაბილურობისთვის, აუცილებლად მიგვაჩნია შიდა კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები განისაზღვროს კანონით და მხოლოდ პროცედურის დეტალები დაკონკრეტდეს მთავრობის დადგენილებით.

1 მაშინ ინიციატივა მუნიციპალიტეტებიდან მოდიოდა, სადაც მერის წარმომადგენლები საშტატო ნუსხიდან ამოიღეს და შრომის ხელშეკრულებაზე გადაიყვანეს, რაც არღვევდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს. ვრცლად იხილეთ: <https://bit.ly/2oG49PM>

2 მერის წარმომადგენლის უფლებამოსილებები მერის დებულებითაა განსაზღვრული, მაგალითად იხილეთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-15 მუხლით განსაზღვრული გამგებლის წარმომადგენლის უფლებამოსილებები: <https://bit.ly/2mGtLvg>

